



მოქალაქის გზამკვლევი 2021

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი
(პირველი წარდგენა)

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
თბილისი, 2020 წელი

სარჩევი

გზამკვლევის შესახებ	1		
ოჯახის ბიუჯეტი	2	5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება	31
რას ნიშნავს ტერმინი „ბიუჯეტი“?	3	6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა	32
საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები	4	7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა	33
სახელმწიფო ბიუჯეტი	4	8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	34
საქართველოს საბიუჯეტო სისტემა	8	9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია	34
საბიუჯეტო პროცესი	9	10. სოფლის მეურნეობა	35
საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები	10	11. სასამართლო სისტემა	36
სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეთა პასუხისმგებლობა	11	12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა	36
ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)	11	რამდენია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი?	38
ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD)	11	ახალი პოლიტიკის მიმართულებები	39
სტრუქტურა	13	დაგეგმილი ღონისძიებები	40
საბიუჯეტო პროცესის მოკლე აღწერა	14	ფისკალური პარამეტრების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრებში დაბრუნების გეგმა	41
საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის აღწერა	15	ბიუჯეტის გამჭვირვალობა	42
ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში	19	ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	43
სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა	20	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	45
2021 წლის ბიუჯეტის კანონის ზოგადი მიმოხილვა	24	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა	46
სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები	25	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	46
1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	26	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა	46
2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	27	გადასახადები	47
3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი	28	გრანტები	47
4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	29	სხვა შემოსავლები	47

არაფინანსური აქტივების კლება	48
ფინანსური აქტივების კლება	48
ვალდებულების ზრდა	48
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ⁴⁹	
გადასახდელების სტრუქტურა	50
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	50
ხარჯები	50
ხარჯების სტრუქტურა	51
არაფინანსური აქტივების ზრდა	52
ფინანსური აქტივების ზრდა	52
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	52
2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება	53
2021 წლის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსება	54
ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	54
განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	55

რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა	56
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	57
სამინისტროების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება	58
მხარჯავი დაწესებულებების და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების დაფინანსების მოცულობები - 2019-2021 წლები	59
2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების მოცულობა შეადგენს 40.000.0 ათასი ლარს.	73
მუნიციპალიტეტის კუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება ⁷⁶	
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია	78
რას ნიშნავს ეს ყველაფერი?	79
შენთვის როგორც მოქალაქისთვის?	79
რისი გაკეთება შეუძლიათ მოქალაქეებს:	80



გზამკვლევის შესახებ

სახელმწიფოს პრიორიტეტია საკუთარი მოსახლეობის დაცვა, მათი სოციალური ინტეგრირების ხელშეწყობა, თითოეული მოქალაქის ეკონომიკური სტაბილურობის და მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის მიღწევა, ასევე მოქალაქეებისთვის იმის ახსნა თუ საიდან მოდის და სად მიდის თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აქტიური მოქალაქეების მეშვეობით. სწორედ ამიტომ, ყოველწლიურად მზადდება მოქალაქის გზამკვლევი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია საზოგადოების წევრები გახდნენ მეტად აქტიურნი.



გზამკვლევის მიზანია ფართო საზოგადოებისთვის იმ ძირითადი საკვანძო საკითხების მიწოდება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი. გზამკვლევის მეშვეობით ყველა დაინტერესებული პირი გაიგებს თუ რას ნიშნავს ტერმინი ბიუჯეტი, რა კომპონენტებისგან შედგება საბიუჯეტო სისტემა, გაეცნობა საბიუჯეტო პროცესის საფეხურებს, საბიუჯეტო პროცესის წარმართვის სამართლებრივ საფუძვლებს, ბოლო წლებში საჯარო ფინანსების მართვაში განხორციელებულ რეფორმებს და მიღწეულ შედეგებს, წარმოდგენა შეექმნება 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

პრიორიტეტულ მიმართულებებზე, ასევე ბიუჯეტით დაგეგმილ ღონისძიებებზე სახელმწიფოს მიერ წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობების მოცულობის და დასახული მიზნების მისაღწევად გასაწევი ხარჯების თაობაზე.

2021 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე სახელმძღვანელო, ბიუჯეტი და ბიუჯეტთან/საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა დამატებითი ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის¹ მეშვეობით.

¹ www.mof.ge

ოჯახის ბიუჯეტი

რა არის ბიუჯეტი? ეს არის იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა განკარგო შემოსავალი. ბიუჯეტის შედგენა სასარგებლოა, როგორც ცალკეული პირებისა და ოჯახებისათვის, ისე საქმიანი ადამიანებისა და მთავრობებისათვის.

ოჯახის ყველა წევრი უნდა მონაწილეობდეს ბიუჯეტის შედგენაში, რათა ყველა გრძნობდეს ვალდებულებას, მიჰყვეს შედგენილ გეგმას. ერთად შედგენილი ბიუჯეტი დაეხმარება ოჯახის თითოეულ წევრს, უკეთესად განკარგონ ოჯახის შემოსავალი.

მოთხოვნილებები და ხარჯები შემოსავლების პარალელურად იზრდება და როგორც წესი, ყოველთვის აჭარბებს მას. რეალურად ერთობლივი ბიუჯეტი გულისხმობს ფინანსების ისეთ მართვას, რომელიც მომავალზე ფიქრის შესაძლებლობას იძლევა.

ოჯახის ბიუჯეტის განსაზღვრისას განიხილება მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები, როგორცაა კვება, კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტირება, დასვენება, ოჯახის აუცილებელი გადასახადები, როგორცაა მაგალითად ბინის, მანქანის და სხვა სამომხმარებლო კრედიტის დაფარვა, ბანკის საპროცენტო შენატანები, აგრეთვე მსჯელობენ გარკვეული თანხის დაზოგვის შესაძლებლობაზეც. მნიშვნელოვანია შეფასდეს წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯები ოჯახის შემოსავლებთან მიმართებაში, თუ ოჯახის შემოსავალი არასაკმარისი აღმოჩნდა დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად, უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები ხარჯების შესამცირებლად ან განხილულ იქნეს შემოსავლების გაზრდის ალტერნატიული ვარიანტები, მაგალითად: ზედმეტი სამუშაო საათები, ახალ სამსახურში გადასვლა ან დამატებითი სამუშაოს მოძებნა. თუ ოჯახი თვლის, რომ მისი მდგომარეობა დროებითია, ან სურვილი აქვთ ახალი ბიზნესის დაწყების და არა აქვთ საკმარისი სახსრები, მაშინ მის წევრებს შეუძლიათ განიხილონ კრედიტის აღების ვარიანტიც, მაგრამ მის პარალელურად საჭიროა განიხილონ და მოიძიონ სესხის დაფარვის წყაროები.

თუ ოჯახის შემოსავალი აჭარბებს ყოველდღიურ ხარჯებს, შესაძლებელია დანაზოგის გაკეთება შორეული გეგმების განსახორციელებლად. ან მეორე მხრივ, ასეთი თანხები დაიხარჯოს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე; მაგალითად, იყიდონ ახალი ავტომობილი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა ან გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები.

ოჯახი რაღაც ფორმით სახელმწიფოს პატარა მოდელია და მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პროცესიც ზოგიერთ შემთხვევაში ზემოთ აღწერილი პროცესის ანალოგიურად მიმდინარეობს. მთავრობა და პარლამენტი განსაზღვრავენ მთავრობის მოსალოდნელ შემოსავლებს, შემოსავლის წყაროებს და მოსალოდნელ ხარჯებს პროგრამების მიხედვით. მაგალითად თავდაცვის, საგარეო საქმეთა, სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, სამართალდამცავი ორგანოების, რეგიონული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და სხვა პროგრამების მიხედვით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელი შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია, მთავრობა განიხილავს საგარეო ვალის აღების შესაძლებლობას გარკვეული პირობებით, თუ იგი ქვეყნისთვის მომგებიანი იქნება და მისი დაფარვის წყაროებიც შესაძლებელი.

რას ნიშნავს ტერმინი „ბიუჯეტი“?

ტერმინი „ბიუჯეტი“ მომდინარეობს ინგლისური სიტყვისგან „Budget“, რაც ტომარას ნიშნავს. როდესაც ინგლისის პარლამენტში მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იდო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

თანამედროვე გაგებით ბიუჯეტი არის განსაზღვრული პირის (ოჯახის, ბიზნესის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს და ა.შ.) შემოსავლებისა და გასავლების ჩამონათვალი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დროის პერიოდით, ჩვეულებრივ ერთი წლით. უფრო კონკრეტულად ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების ერთიანობას წარმოადგენს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა შემოსულობის და გადასახდელის შესრულება ხდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით. იგი სახელმწიფო ფინანსების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. სახელმწიფო ფინანსები თავის მხრივ ქვეყნის ფინანსური სისტემის ძირითადი ნაწილია, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფუნქციების განხორციელების ინსტრუმენტია.



საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუცია

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი



საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი

ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ გამოცემული აქტები

სახელმწიფო ბიუჯეტი

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დოკუმენტს. იგი არის ყველა უწყების მიერ განსახორციელებელი პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებების ერთობლიობა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.



ბიუჯეტი არის გამჭვირვალე დაგეგმარება, რომლის დროსაც მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები და საბიუჯეტო ორგანიზაციები აღწევენ ერთგვარ შეთანხმებას სახელმწიფო რესურსების განაწილებაზე სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით. საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და ფორმულირების გაუმჯობესების ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი

მოექცეს დადგენილ ფისკალურ ჩარჩოში და მოხდეს რესურსების ეფექტური განაწილება დასახული მიზნების მისაღწევად.

ბიუჯეტის მრავალმხრივი ფუნქცია გააჩნია, კერძოდ:

- ❖ ბიუჯეტი წარმოადგენს ცენტრალური მთავრობების მიერ შემუშავებულ გეგმას, თუ როგორ მოიძიოს მთავრობამ სახსრები აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. რა სახის და მოცულობის თანხები უნდა იქნეს ამისათვის მობილიზებული სხვადასხვა სახის გადასახადებიდან, როგორიცაა დამატებული ღირებულების, აქციზის, მოგებისა და სხვა სახის გადასახადები.
- ❖ ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა დახარჯოს მთავრობამ მის მიერ მობილიზებული თანხები. რა ღონისძიებები უნდა იქნეს დაფინანსებული და როგორ უნდა განაწილდეს შემოსავლები სხვადასხვა სფეროებზე. კერძოდ, განათლებაზე, თავდაცვაზე, ჯანმრთელობაზე, სოციალურ დაცვასა და ა.შ. სხვა მიმართულებებზე.
- ❖ ბიუჯეტი განსაზღვრავს მთავრობის მიერ ასაღები სახელმწიფო ვალისა და სესხების ლიმიტებს. თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, მთავრობამ უნდა აიღოს გარკვეული ვალი, რათა დაფაროს მისი მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ხარჯები და გადაიხადოს გასული წლების ვალები.
- ❖ ბიუჯეტი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. ზოგიერთი ხარჯი (როგორიცაა მაგალითად განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის) შესაძლებელია ზრდის პროდუქტიულობას, რაც მომავალში გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლის ზრდასაც. მეორე მხრივ კი, გადასახადები ამცირებს მოსახლეობის შემოსავალს და მათ ნაკლებ სახარჯ ფულს უტოვებს. გამომდინარე აქედან, ბიუჯეტი (შემოსულობები და გადასახდელები) უნდა დაბალანდეს ისე, რომ იგი იქცეს ქვეყნის განვითარების მძლავრ ბერკეტად.
- ❖ ბიუჯეტზე თავად ახდენენ გავლენას ეროვნული ეკონომიკური პროცესები. კერძოდ, მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ბიზნესი უფრო აქტიურდება, იზრდება დასაქმების მოცულობა, შესაბამისად იზრდება როგორც მოქალაქეების, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალიც, განსაკუთრებით კი საგადასახადო შემოსავალი. ამ პირობებში მთავრობას საშუალება ეძლევა დააფინანსოს მეტი ღონისძიებები. ამასთან მცირდება ვალის აღების საჭიროება.
- ❖ ბიუჯეტი წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს. ამასთან, ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას გასულ წლებში მთავრობის მიერ მოზიდულ და დახარჯულ თანხებზე, ასევე მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას თანხების მომავალში დახარჯვასთან დაკავშირებით.

ძირითადი ტერმინები:

ბიუჯეტი - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

პროგრამული ბიუჯეტი - ასიგნებები გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებების და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი პრინციპია სახელმწიფო სახსრების მიმართვა წინასწარ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, რისი გათვალისწინებითაც პროგრამული ბიუჯეტი ხშირად შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის სახელითაა მოხსენიებული; პროგრამული ბიუჯეტის მიზანია სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობის ამაღლება, სახელმწიფო სექტორის დაწესებულებების დაფინანსებისა და მათ მიერ მიღწეული შედეგების ურთიერთკავშირის გაძლიერება. გარდა მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისა, საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.²

პროგრამა - წარმოადგენს ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ქვეპროგრამა - წარმოადგენს მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობას.

პროფიციტი - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსავალი აჭარბებს გასავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო პროფიციტზე.

დეფიციტი - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი გასავალი აჭარბებს შემოსავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო დეფიციტზე.

მხარჯავი დაწესებულება - ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია.

² საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესახებ ადგენს თუ რა შეიძლება იყოს ამ ტიპის გადასახდელები, მათ შორის მოიაზრება საერეზერვო ფონდები და დადგენილია ლიმიტი სარეზერვო ფონდებისათვის (არაუმეტეს მთლიანი ბიუჯეტის 2%).

საბიუჯეტო ორგანიზაცია - მხარჯავი დაწესებულება ან/და ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში თანხის განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურების და წესების თანახმად.



საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

ბიუჯეტი არის სხვადასხვა დონის, რომელთა ერთიანობა ქმნის საბიუჯეტო სისტემას. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს.

ამასთან, ფინანსური პოლიტიკის ფორმირებისას გამოიყენება ტერმინები „ნაერთი ბიუჯეტი“ და „სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი“.

ნაერთი ბიუჯეტი აერთიანებს არსებულ ბიუჯეტებს და არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, შესაბამისად არ მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ.

სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტია, რომელიც არ მტკიცდება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.



საბიუჯეტო პროცესი

სახელმწიფოს ქმედებას ბიუჯეტის ფორმირების, განხილვის, დამტკიცების, დაზუსტების, შესრულების, ანგარიშებისა და კონტროლის შესახებ ეწოდება საბიუჯეტო პროცესი.



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები



ყოვლისმომცველობა

ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელის და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში

ანგარიშვალდებულება

ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და წარდგენილ ინფორმაციაზე

გამჭვირვალობა

წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, ბიუჯეტის და მისი შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

დამოუკიდებლობა

ყველა დონის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა

ერთიანობა

ერთიანი კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პირნციპებით ხელმძღვანელობა ყველა დონის ბიუჯეტისათვის

უნივერსალობა

ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად

კონსოლიდირება

სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემა

სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეთა პასუხისმგებლობა

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე და ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტი;
- სახელმწიფოს ერთიანი, საქართველოს ნაერთი და ცენტრალური ბიუჯეტებისათვის პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით.


ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

დოკუმენტი მოიცავს 4 წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია.

BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა.

საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ:



ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) სტრუქტურა
ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) იწყება სამთავრობო
პროგრამით, რომლის საფუძველზეც მზადდება დოკუმენტი შემდეგი სტრუქტურით:

- ძირითადი საბიუჯეტო და მაკროეკონომიკური პარამეტრები (მშპ, ფასები, მთავრობის ვალი და სხვა) მომდევნო 4 წლისთვის
- გასული წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები
- მიმდინარე წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები
- მიმდინარე წლის შემოსულობების შესრულება
- შემოსულობების პროგნოზი მომდევნო 4 წლისთვის
- დასაგეგმი წლებისათვის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების რიცხოვნობის და ასიგნებების ზღვრული მოცულობები, ასევე პროგრანების საორიენტაციო დაფინანსების მოცულობები
- მთავრობის პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მ განსახორციელებელი პროგრამების აღწერა

საბიუჯეტო პროცესის მოკლე აღწერა

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, სამინისტროები აყალიბებენ მათ პრიორიტეტებს;
- მთავრობა პრიორიტეტებს და საბიუჯეტო პარამეტრებს უთანხმებს პარლამენტს;
- პარლამენტის შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით სამინისტროები ამტკიცებენ საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ განსახორციელებელ სტრატეგიებს;
- სამინისტროების პრიორიტეტების საფუძველზე მზადდება BDD დოკუმენტი, სადაც ასევე ასახულია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების სავარაუდო მოცულობები და სამინისტროების საბიუჯეტო ჭერები;
- BDD დოკუმენტის გათვალისწინებით მხარჯავი დაწესებულებები ავსებენ საბიუჯეტო განაცხადებს; საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;
- საქართველოს მთავრობა წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტს, რომელიც განხილვების შემდგომ ამტკიცების წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონს.



1. სამინისტროების მიერ პრიორიტეტების ჩამოყალიბება
2. პრიორიტეტების და საბიუჯეტო პარამეტრების პარლამენტთან შეთანხმება
3. სამინისტროების მიერ სამოქმედო გეგმების დამტკიცება
4. BDD დოკუმენტის მომზადება და ჭერების დამტკიცება
5. საბიუჯეტო განაცხადების შევსება
6. ბიუჯეტის პროექტის მომზადება

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის აღწერა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა დაიწყო 2004 წლიდან, რომელიც გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან GFSM 2001 ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას.

საქართველომ შეიმუშავა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღი საბიუჯეტო სისტემის არსებობას. საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მიღებული ახალი რეგულაციების ასახვა მოხდა ახალ საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც დამტკიცდა 2009 წელს და 2010 წლიდან მოქმედებს. შედეგად, სახელმწიფო, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტირების სისტემის ყველა საკანონმდებლო აქტი ერთ კანონში გაერთიანდა, გაუმჯობესდა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD), დაინერგა პროგრამული ბიუჯეტი ცენტრალური მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისთვის, პარლამენტმა დაამტკიცა ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონი, რომელიც ძალაშია 2014 წლიდან. ის განსაზღვრავს ფისკალური დისციპლინის წესებს საჯარო ფინანსების მართვისთვის, ასევე, შესასრულებლად სავალდებულო ფისკალურ წესებს და გამონაკლისებს.

ზემოხსენებული კანონების საფუძველზე საქართველოს საჯარო ფინანსების მართვა ხორციელდება რამდენიმე კანონქვემდებარე აქტით, რომელთაგან აღსანიშნავია:



მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაცია, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო სექტორში ფინანსური სტატისტიკის 2014 წლის სახელმძღვანელოს ეფუძნება, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია და მთავრობის დადგენილებით და ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია და სხვა.

განვითარდა ელექტრონული სისტემები (ePFMs) მთლიანად ჰარმონიზებული ელექტრონული ბიუჯეტებისა (eBudget) და სახაზინო (eTreasury) სისტემებთან. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული, ინტერნეტზე დაფუძნებული, ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა ერთ-ერთი უდიდესი წარმატებაა ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში. ამჟამად მას დაახლოებით 4,500 შიდა მომხმარებელი ჰყავს.

ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო პროცესის და პროცედურების პარალელურად განვითარდა ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი და პროცედურები და ჩამოყალიბდა სრულყოფილი და კარგად დანერგილი სისტემა, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების eTreasury-ს სისტემაში ჩართვას.

გაუმჯობესდა ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა. გაძლიერდა კავშირები მთავრობის პროგრამის მომცველ დოკუმენტებს შორის, საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩოს, დარგობრივი სამინისტროების ინდივიდუალურ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსა და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ წლიურ სახელმწიფო ბიუჯეტს შორის. **2012 წლიდან დაინერგა პროგრამული ბიუჯეტირება და შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება.** შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირების დანერგვა საჭიროებს დამატებით სამუშაოს და მოიაზრება რეფორმის დღის წესრიგში. **PEFA** (ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულებების შეფასება) არის საჯარო ფინანსების მართვის შეფასების ინსტრუმენტი. შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საჯარო ფინანსების მართვის შესრულების საფუძვლიან, თანმიმდევრულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს დროის კონკრეტულ მონაკვეთში. აღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავს 31 ინდიკატორს, რომლის მიხედვით შესაძლებელია ბიუჯეტის სანდოობის, საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, პოლიტიკაზე დაფუძნებული სტრატეგისა და ბიუჯეტირების, ბიუჯეტის აღსრულების პროგნოზირებისა და კონტროლის, აღრიცხვისა და ანგარიშგების, ასევე გარე ანალიზისა და აუდიტის სისტემების შეფასება. მიღებული შეფასება და ანგარიში საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს წარმოდგენა შეექმნას ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. **PEFA-ს 2017 წლის** შეფასებით საქართველომ შეძლო 2012 წელს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზით მნიშვნელოვანი წინსვლისათვის მიეღწია. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. მათ შორის, 2015 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, რამაც ხელი შეუწყო დარგობრივი, სექტორული და სხვა ტიპის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას როგორც შინაარსობრივი, ისე პროცედურული საკითხების დარეგულირებას. 2018 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის განახლდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის და მნიშვნელოვნად დაიხვეწა მათ მიერ საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების ფორმატი და დარეგულირდა ამ დოკუმენტაციის მომზადების პროცესიც. განხორციელებული რეფორმების შედეგად **გაძლიერდა კავშირი ქვეყნის ძირითად მიმართულებებსა და ბიუჯეტს შორის.** ქვეყნის მასშტაბით მომზადებული დარგობრივი და სექტორული სამოქმედო გეგმები მოიცავს შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს და შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით 4 წლიან პერიოდში განსაზღვრულ პარამეტრებს.

გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2019“ (Open Budget Survey 2019) შედეგებით, საქართველომ 81 ქულით შეფასდა და კვლავ მე-5 ადგილს იკავებს მსოფლიოს 117 ქვეყანას შორის, რითაც საქართველო კვლავ მოექცა სრულიად გამჭვირვალე ქვეყნებს შორის.



მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კაპიტალური ბიუჯეტირების

გაუმჯობესების მიმართულებით. ძალისხმევა ხმარდება როგორც კაპიტალურ ხარჯებზე საბიუჯეტო დოკუმენტაციის შინაარსობრივ დახვეწას, ისე ერთიანი მიდგომის დანერგვას საჯარო სექტორში ინვესტიციების საერთო ეფექტიანობისა და ეფექტურობის გასაზრდელად. შემუშავდა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც დაიწყო აღნიშნული რეფორმის ეტაპობრივი დანერგვის პროცესი. ქვეყანაში საჯარო სექტორში ინვესტიციების მართვის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი სისტემის სრულყოფილად დანერგვისთვის მთავრობის ძალისხმევა მიმართულია რეფორმის შემდგომი ეტაპების განხორციელებისკენ. ევროკავშირთან ფინანსური დახმარების ფარგლებში, ერთობლივად შეთანხმებულ ვალდებულებებს შორის, ისევე როგორც საჯარო ფინანსების მართვის 2018-2021 წლების სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით, გათვალისწინებულია საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის განხორციელების შემდგომი ეტაპები საშუალოვადიან პერიოდში, რაც რთული და შრომატევადი პროცესია. უკვე აღებული ვალდებულებების ფარგლებში, 2019 წელს შეფასდა 14 საინვესტიციო პროექტი საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად და თან დაერთო 2020 წლის ბიუჯეტის პროექტს. 2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილებზე. შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკისთვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. მნიშვნელოვნად შეიზღუდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. შემცირდა ყველა ის პროგრამა, რომელთა არგანხორციელება ან/და დროში გადაწევა მნიშვნელოვნად არ დააზიანებდა შესაბამის სექტორს, მათ შორის ბუნებრივი ფაქტორების (პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვები) გათვალისწინებით შეიზღუდა კულტურული, სპორტული და ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები. კაპიტალური პროექტების ნაწილში მნიშვნელოვანი შემცირება შეეხო ტურისტულ ინფრასტრუქტურას. შესაბამისად, შეფერხდა როგორც არსებული საინვესტიციო პროექტების განხორციელება, ასევე შეზღუდულია ახალი პროექტების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები. მიუხედავად ამისა, 2021 წელს განხორციელდა 11 ახალი კაპიტალური პროექტის შეფასება, რომელთა ინიცირება განხორციელდა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის

სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სახალხო დამცველის აპარატის მიერ.

მნიშვნელოვანი წინსვლაა საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების რეფორმის დანერგვის მიმართულებით. საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების სამოქმედო გეგმის თანხმად, განისაზღვრა დარიცხვის მეთოდით საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის ძირითადი ეტაპები 2020 წლისთვის.

ხაზინის ერთიანი ანგარიშის არეალი გაფართოვდა და უკვე მოიცავს ადგილობრივ ხელისუფლებას და საჯარო უწყებებს, სკოლებისა და საბავშვო ბაღების გარდა. ამდენად, როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, ისე საჯარო უწყებების ბიუჯეტის შესრულების კონსოლიდირებული ანგარიშები და ინფორმაცია, ხელმისაწვდომია რეალურ დროში, დღეების, თვეებისა და წლების მიხედვით. სახელმწიფო ხაზინამ შეიმუშავა ხაზინის ანგარიშებზე არსებული ფულადი რესურსების მართვისათვის საჭირო რეგულაციები და დაიწყო თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსება კომერციულ ბანკებში, ბლუმბერგში ჩატარებული აუქციონების გზით.



ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადდა და გამოიცა წიგნი „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში“, რომელშიც აღწერილია ევროკავშირთან 10 წლიანი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები და სამომავლო გეგმები. წიგნის მომზადებაში ჩართული იყო საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მონაწილე ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი.




³ http://mof.ge/images/File/biujeti/European Union Finish 14_09_2017.pdf

ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში

2011 წელს საქართველომ მიიღო საქართველოს ორგანული კანონი⁴ „*ეკონომიკური თავისუფლების შესახებ*“, რომლითაც დადგენილია ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები. ამ კანონით სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობას და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას. თავისუფლება არის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც გამოიხატება მთავრობის მცირე ზომაში, პასუხისმგებლობიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და დაბალ გადასახადებში.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა, გარდა აქციზისა, შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

ეკონომიკის გრძელვადიანი და მდგრადი ზრდის, მოსახლეობის კეთილდღეობის, მაკროეკონომიკური და ფისკალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად დგინდება მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:



⁴ <https://matsne.gov.ge/document/view/1405264?publication=2>

მთავრობის ვალი მოიცავს:

- სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა.

თუ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ შეესაბამება კანონით დადგენილ ზღვარს ან ზღვრებს საქართველოს მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და

საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს დადგენილ ზღვრებში დაბრუნების გეგმა, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.

სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ზღვრული მოცულობების მიღმა დაგეგმვა ან/და დაგეგმილი პარამეტრების შესრულება შესაძლებელია:

- ✓ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების და აღნიშნული მდგომარეობის შედეგად დამდგარი ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში;
- ✓ ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესიის შემთხვევაში – თუ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ზედიზედ ბოლო 2 კვარტალის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის კვარტალებთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე გასული 10 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

საშუალოვადიანი პერიოდისათვის ფისკალური პარამეტრების დადგენა ეფუძნება როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგად წესებს ისე ქვეყანაში და რეგიონში არსებულ მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზს.

სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის სტრუქტურა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ❖ პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობებისა და გადასახდელების გაშლა, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით, დეფიციტის მოცულობა და მისი დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;
- ❖ მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);

- ❖ მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობაც;
- ❖ მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა;
- ❖ მე-8 თავში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები.



პარლამენტში წარდგენისას *სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს*, მეტი გამჭვირვალობის მიზნით თან ახლავს ინფორმაციული დანართები, სადაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ:

- ❖ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზების შესახებ, ასევე მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვა.
- ❖ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (2021-2024 წლები);
- ❖ 2017-2024 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (როგორც საბაზო, ასევე ოპტიმიტური და პესიმისტური სცენარები). აღნიშნულ ინფორმაციაში წარმოდგენილია სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ფისკალური მაჩვენებლები;
- ❖ ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების განახლებული საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება წინა პროგნოზებთან;
- ❖ პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები);
- ❖ კაპიტალური ბიუჯეტის დანართი, სადაც მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესახებ (მათ შორის პროექტის მთლიანი ღირებულება, მისი დაფინანსების წყაროები, დასრულების ვადები და სხვა);
- ❖ ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების დეტალური ჩაშლა და ინფორმაცია თითოეული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ;
- ❖ ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- ❖ ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ, სადაც გაანალიზებულია მაკროეკონომიკური რისკები და მათი შესაძლო გავლენა ბიუჯეტზე. ინფორმაცია სახელმწიფო კომპანიებზე და მათგან მიმდინარე შესაძლო პირობით ვალდებულებებზე, კომპანიების აუდიტებული დასკვნები ხელმისაწვდომი იყო პირველი ოქტომბრის შემდგომ და კომპანიებში არსებული სიტუაციის გაანალიზება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკურ მისიასთან ერთად დაიწყო აღნიშნული დასკვნების მიღების შემდგომ.
- ❖ ინფორმაცია მთავრობის ვალის შესახებ;
- ❖ მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი (2021-2030 წლები);
- ❖ ინფორმაცია ცენტრალური ბიუჯეტის შესახებ, რომელშიც ასახული ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ, ასევე ინფორმაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლების შესახებ;

❖ ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების განახლებული საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება წინა პროგნოზებთან და ფისკალური პარამეტრების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრებში დაბრუნების გეგმა;

❖ ინფორმაცია 2020 წლის 8 თვის შესრულების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობები და გადასახდელები აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დაჯგუფდეს ეკონომიკური ხასიათის, ფუნქციონალური ღონისძიებების, ორგანიზაციული სტრუქტურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა.



ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა.



2021 წლის ბიუჯეტის კანონის ზოგადი მიმოხილვა

კანონპროექტის მიხედვით განისაზღვრება 2021 წლის განმავლობაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული 2020 წელს COVID-19 პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელი, მიმდინარე წლის მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირების ტენდენციები და საშუალოვადიან პერიოდთან მიმართებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზები როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ეკონომიკის და რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ტენდენციების შესახებ.

მიზანშეწონილად ჩაითვალა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი და 2021-2024 წლების საშუალოვადიანი პროგნოზების საბაზისო სცენარი დაფუძნებული იყოს შედარებით კონსერვატიულ პროგნოზებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები



1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა



2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება



3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი



4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება



5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება



6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა



7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა



8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი



9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია



10. სოფლის მეურნეობა



11. სასამართლო სისტემა



12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- ❖ ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად: მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- ❖ გაგრძელდება ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (სოციალურად დაუცველთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვ.) ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სათანადო მექანიზმების დახვეწა და მედიკამენტების სიის გაფართოება;
- ❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით გატარდება მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის ღონისძიებები. გაიზრდება პროგრამების საბიუჯეტო დაფინანსება და ეფექტიანობა.
- ❖ გაგრძელდება მიზნობრივი პროგრამების განხორციელება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- ❖ გაგრძელდება საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სახელმწიფო პენსიის ინდექსაციას ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს დაბალი გადასახადების პირობებში, საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის სოციალური გარანტიების შექმნას და დადგენილი წესით პენსიის ავტომატურ ზრდას ყოველწლიურად (არანაკლებ 20 ლარით 70 წლამდე საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის და არანაკლებ 25 ლარით ზრდას 70 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობისთვის);
- ❖ დაიხვეწება სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია და საარსებო შემწეობის გაცემის წესი; შემუშავდება და განხორციელდება შრომისუნარიანი წევრების დასაქმების წახალისებისა და ხელშეწყობის ეფექტიანი მექანიზმები; გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის (შშმ პირები, შშმ ბავშვები, მარჩენალდაკარგულები და სხვ.) სოციალური პაკეტის გაცემა;
- ❖ გაუმჯობესდება იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; გაგრძელდება დევნილთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობების გაცემა;
- ❖ დასაქმებულთა უფლებების დაცვის მიზნით, გაძლიერდება შრომის ინსპექციის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო;
- ❖ ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის ფონზე, საშუალოვადიან პერიოდში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით უმთავრეს ამოცანად რჩება პანდემიის მართვისა და შეკავების ღონისძიებების, პანდემიის შედეგად ინფიცირებულთათვის ჯანმრთელობის მომსახურების

მიწოდების ღონისძიებები. ასევე, პანდემიიდან გამოწვეული გლობალური კრიზისის ფონზე არსებული და დამატებითი (დროებითი) სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველყოფა.

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

- ❖ ეროვნული თავდაცვის სისტემის განვითარების პროცესში გაგრძელდება „ტოტალური თავდაცვის“ მიდგომის ინტენსიური დანერგვა;
- ❖ აშშ-სთან, როგორც ძირითად სტრატეგიულ პარტნიორთან ერთად, გაგრძელდება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) განხორციელება, რომლის ფარგლებში, მომზადდება და აღიჭურვება თავდაცვის ძალების ქვეითი ბატალიონები;
- ❖ განხორციელდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით (SNGP) გათვალისწინებული ინიციატივების იმპლემენტაცია, რომლის ფარგლებშიც, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ფორმატების გამოყენებით, ალიანსისგან მიღებული ეფექტიანი მხარდაჭერით მიიღწევა ნატოს თანათავსებადობის მაღალი ხარისხი;
- ❖ მოსამსახურეებისთვის გაგრძელდება ბინათმშენებლობის თანადაფინანსება და სხვა სოციალური პროექტები;
- ❖ ერთ-ერთი პრიორიტეტი კვლავაც იქნება სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; მათ შორის, განხორციელდება ყველა მოქმედი ყაზარმისა და სასადილოს, სრული რეაბილიტაცია. ჯარისკაცებისთვის მოეწყობა ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა, ასევე, მოწესრიგდება სამხედრო ბაზების შიდა ინფრასტრუქტურა.
- ❖ გაგრძელდება კრიმინალური პოლიციის რეფორმა, რომელიც საპოლიციო საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს. კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება ოპერატიული, საგამომიებო და საუბნო მიმართულებების მკაფიოდ გამიჯვნა. განვითარდება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა;
- ❖ გაგრძელდება სასაზღვრო პოლიციის რეფორმა;
- ❖ განხორციელდება საპატრულო პოლიციის რეფორმის ახალი ეტაპი.
- ❖ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“, საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლების ფარგლებში, გააგრძელებს ქვეყნის მასშტაბით ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების დამატება/განვითარებას;
- ❖ დაინერგება დანაშაულის პრევენციაზე მიმართული მიდგომები, მათ შორის, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი; ამ მიზნით, გაგრძელდება ანალიტიკოსთა ქსელის შექმნა საპოლიციო დანაყოფებში მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- ❖ საოჯახო ტიპის პენიტენციური დაწესებულების შექმნა, სადაც ერთი და იმავე სასწავლო ინტერესებისა და მისწრაფებების მქონე რამდენიმე არასრულწლოვანი თავსდება და ოჯახურ გარემოში ცხოვრობს გათავისუფლებამდე;

- ❖ მსჯავრდებულებისთვის დასაქმების, პროფესიული სწავლების, განათლებისა და განტვირთვის შესაძლებლობების გაუმჯობესება და ამ მიზნით შესაბამისი სისტემებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით;
- ❖ პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში ბენეფიციარების, თანამშრომლებისა და სტუმრებისათვის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება;
- ❖ თანამშრომლებისთვის ღირსეული და არადისკრიმინაციული სამუშაო პირობების შექმნა პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში;

3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

- ❖ დამატებით აშენდება 200 კილომეტრამდე ავტობანი - დასრულდება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. აშენდება 200-მდე ხიდი და 70-მდე გვირაბი, შედეგად, თბილისი-ბათუმის მიმართულებით მგზავრობას დაახლოებით 3,5 საათი დასჭირდება;
- ❖ აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალზე დასრულდება რიკოთის, სამტრედია-გრიგოლეთის, გრიგოლეთი-ჩოლოქის, ბათუმის შემოვლითი გზის მონაკვეთების მშენებლობა;
- ❖ გაგრძელდება ყველა სასაზღვრო-გამშვები პუნქტის მიმართულებით საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტები, მათ შორის, 2024 წლისთვის დასრულდება ქვეშეთი-კობის 23კმ-იანი მონაკვეთისა და 9კმ-იანი გვირაბის მშენებლობა, დაიწყება ნატახტარი-ჟინვალის 27კმ-იანი ჩქაროსნული გზა. დაიწყება ავტომაგისტრალის მშენებლობა ბათუმი-სარფის, თბილისი-სადახლოსა და თბილისი-წითელი ხიდის მიმართულებებით;
- ❖ დასრულდება ბაღდათი-აბასთუმნის, საჩხერე-ონის, თბილისი-შატილის, ბათუმი-ახალციხის და სხვა მნიშვნელოვანი გზის მონაკვეთების მშენებლობა;
- ❖ განხორციელდება 1500 კილომეტრამდე საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია და 200-მდე სახიდე გადასასვლელის მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ❖ გაიზრდება ქვეყნის მოსახლეობის მოცვა გამართული წყალმომარაგებით.
- ❖ ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონების ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, გაგრძელდება სათემო ინტერნეტიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებები;
- ❖ განხორციელდება სატელეკომუნიკაციო ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის გამოყენებით სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისა და საქართველოს გავლით ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ჰაბის ჩამოყალიბების ღონისძიებები;
- ❖ შეიქმნება ერთიანი ციფრული პლატფორმა, რომელშიც ინტეგრირებული იქნება სატრანსპორტო გადაზიდვების მიმართულებით ყველა ელექტრონული/ციფრული სერვისი;

- ❖ კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, გააქტიურდება და გაგრძელდება მუშაობა ქართულ ავიაბაზარზე ახალი კომპანიების მოზიდვისა და ახალი მიმართულებების განვითარების კუთხით;
- ❖ იგეგმება რკინიგზის რესტრუქტურირების განხორციელება ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტის მეშვეობით, რაზეც ევროკომისიასთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს;
- ❖ გაგრძელდება გაზიფიცირების სამუშაოები და უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის მოსახლეობის 90%.
- ❖ 2023 წელს, საქართველო, მასპინძელი ქვეყნის სტატუსით, წარდგება მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ და გავლენიან ტურისტულ გამოვენაზე - ITB Berlin 2023
- ❖ მომდევნო 4 წლის განმავლობაში, საქართველოში მაღალმხარჯველუნარიანი საქმიანი მოგზაურების მოზიდვის მიზნით საქმიანი ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება;
- ❖ სამთო-სათხილამურო კურორტების (გუდაური, ბაკურიანი, გოდერძი, თეთნულდი და ჰაწვალი) განვითარების მიზნით, 2020-2024 წლებში, დაგეგმილია სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება და ოთხსეზონური ტურისტული პროდუქტების შექმნა;
- ❖ 2023 წელს საქართველო უმასპინძლებს თხილამურსა და სნოუბორდში თავისუფალი სტილით სრიალში მსოფლიო ჩემპიონატს, ჩემპიონატის ჩატარებამდე კი აქ 12 საერთაშორისო შეჯიბრი გაიმართება. აღნიშნული ჩემპიონატის მსვლელობისას საქართველოს ათასობით ვიზიტორი ეწვევა.

4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

- ❖ საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება კვლავაც იქნება უფასო;
- ❖ გაგრძელდება სასკოლო მზაობის ცენტრების გახსნის მხარდაჭერა, შემუშავდება და განხორციელდება “სკოლა-ბაღის“ კონცეფციის სტანდარტი;
- ❖ უზრუნველყოფილი იქნება სკოლამდელი განათლებიდან ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე ტრანზიციის ხელშემწყობი ღონისძიებები ყველა ბავშვისთვის;
- ❖ შეიქმნება 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების სტატისტიკური მონაცემების ამსახველი ინტეგრირებული ელექტრონული სისტემა;
- ❖ დასრულდება ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში 50-ზე მეტი საბავშვო ბაღის მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გაგრძელდება ახალი საბავშვო ბაღების დაფუძნება, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები.
- ❖ შემუშავდება და დაინერგება სკოლების მართვისა და დაფინანსების დიფერენცირებული მოდელები;
- ❖ გაგრძელდება ახალი სახელმძღვანელოების შექმნის პროცესი გრიფირების განახლებული პროცედურებით;

- ❖ ფართო მასშტაბით დაინერგება ბილინგვური სწავლების განსხვავებული მოდელი არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებში;
- ❖ შემუშავდება მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ახალი წესი, განხორციელდება მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიებები მათი პროფესიული საჭიროებების შესაბამისად;
- ❖ გაგრძელდება სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება. დასრულდება სრულად ადაპტირებული 80 ახალი სკოლის მშენებლობა და 850-მდე საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. განხორციელდება 91 ავარიული საჯარო სკოლის გამაგრება/სრული რეაბილიტაცია სსსმ მოსწავლეებისათვის საჭირო გარემოს შექმნის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ❖ უზრუნველყოფილი იქნება საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის ფუნქციის წარმატებული განხორციელება.
- ❖ ეტაპობრივად დაიხვეწება სწავლების დისტანციური და ჰიბრიდული მეთოდოლოგია.
- ❖ დაინერგება უმაღლესი განათლების დაფინანსების ეფექტური სისტემა;
- ❖ გაფართოვდება ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები, გაძლიერდება საერთაშორისო თანამშრომლობა, ხელი შეეწყობა უცხოელი მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მობილიზებას,
- ❖ გაგრძელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება ინფრასტრუქტურის და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად.
- ❖ გაგრძელდება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა;
- ❖ დაინერგება რეფერირების საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკა და ნორმები;
- ❖ თბილისში ფუნქციონირებას დაიწყებს თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფილი სამეცნიერო ქალაქი, სადაც განთავსდება სფეროს ყველა სათავო დაწესებულება;
- ❖ შეიქმნება ეროვნული სამეცნიერო პორტალი;
- ❖ გაიზრდება სამეცნიერო საგრანტო კონკურსების რაოდენობა;
- ❖ გაძლიერდება STEM-ის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების მხარდაჭერა;
- ❖ გაძლიერდება საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მხარდაჭერა;
- ❖ ხელი შეეწყობა საზღვარგარეთ მოღვაწე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ქართულ სამეცნიერო სივრცესთან თანამშრომლობას;
- ❖ შეიქმნება კოლეჯების შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობი ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმი, - კერძო სექტორთან თანამშრომლობით დაფუძნდება პროფესიული განათლების განვითარების სააგენტო, რომელიც კერძო-საჯარო პარტნიორობაზე დაფუძნებით უზრუნველყოფს პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას;

- ❖ გაძლიერდება დარგობრივი გაერთიანებებისა და კერძო სექტორის როლი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში;
- ❖ დაიწყება არაფორმალური განათლების აღიარება და გაფართოვდება აღიარების მასშტაბები;
- ❖ პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, შეიქმნება საერთაშორისო სერტიფიცირების შესაძლებლობები საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად და ინგლისური ენის სწავლების გასაძლიერებლად;
- ❖ დაინერგება პროფესიული განათლების მართვის ელექტრონული სისტემა; შეიქმნება პროფესიული განათლების საინფორმაციო პორტალი;

5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

- ❖ მთავრობა მიჰყვება ფისკალური დეფიციტის თანმიმდევრული შემცირების პოლიტიკას. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისის ფონზე და 2020-2023 წლებში „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ფისკალური პოლიტიკისთვის დაგეგმილი საგამონაკლისო ნორმების ამოქმედების ფონზე, მაკროეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის ამოცანაა საშუალოვადიან პერიოდში დეფიციტის მშპ-სთან მიმართებით 3%-იან ნიშნულზე დაბრუნება;
- ❖ გაგრძელდება აქტიური მუშაობა მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გასაუმჯობესებლად. 2024 წლისთვის სამიზნე მაჩვენებელი მშპ-ის 5%-ის ფარგლებში არსებული ნიშნულის შენარჩუნება იქნება;
- ❖ დაცული იქნება ქვეყნის ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპი;
- ❖ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული სირთულეების ფონზე უზრუნველყოფილი იქნება საგარეო ვალის კანონმდებლობით დადგენილ ზღვარში მდგრადი დაბრუნება. ამასთან, მსხვილი საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შემდგომ, მთავრობა, დეფიციტის შემცირების ხარჯზე, გააგრძელებს ვალის მნიშვნელოვან შემცირებას;
- ❖ აქტიურად გაგრძელდება მუშაობა დამატებითი რესურსების მოსაზიდად და კაპიტალური ხარჯების 8%-ის ფარგლებში შესანარჩუნებლად.
- ❖ აქტიურად გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბიუჯეტო პროცესში მოსახლეობისა და დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართულობის გაუმჯობესებას;
- ❖ ფართოდ დაინერგება საჯარო ინვესტიციების მართვის (PIM) ინსტრუმენტი, რაც სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური ინვესტიციების განხორციელებას უზრუნველყოფს. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით, 2024 წლისთვის იგეგმება ბიუჯეტიდან განხორციელებული საინვესტიციო პროექტების სრული დაფარვა.
- ❖ დაცული იქნება საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი;

- ❖ ხელისუფლების ძირითადი პოლიტიკა დაეფუძნება ბიზნესსუბიექტებს შორის მაქსიმალურად კონკურენტული გარემოს ხელშეწყობას, გაძლიერდება კონკურენციის ინსტიტუციური ჩარჩო და გაიზრდება კონკურენციის სააგენტოს ეფექტიანობა;
- ❖ საგადასახადო ადმინისტრირებაში დაიწყება ავტომატური დეკლარირების სისტემის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საგადასახადო ორგანოებთან ბიზნესსუბიექტების მუშაობის დროსა და საჭირო რესურსს.
- ❖ გაგრძელდება სააგენტოს - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მოქმედი პროგრამები და უზრუნველყოფილი იქნება მათი ეფექტურობა;
- ❖ 2024 წლის ჩათვლით, საქართველოს მიერ დანერგილი იქნება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების ვალდებულებების 85%, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების, საბაჟოსა და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მიმართულებებით შესრულებული იქნება ვალდებულებების 100%;
- ❖ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების მიზნით, კონსულტაციების გაგრძელება და, მიღწეული შედეგების შესაბამისად, მოლაპარაკებების წარმართვა;
- ❖ საქართველო კვლავ აგრძელებს ეკონომიკური რეფორმების ციკლს, რომელიც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და, შედეგად, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი

მხარდაჭერა

- ❖ განხორციელდა საჯარო სამსახურის ფუნდამენტური რეფორმა და ის გარდაიქმნა კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებულ სტაბილურ, საჯარო სამსახურის ერთიან სისტემად.
- ❖ ღია მმართველობის სამოქმედო გეგმებით, საქართველო პასუხობს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ყველა გამოწვევას: საჯარო მომსახურების გაუმჯობესებას, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებას, საჯარო რესურსების უკეთესად მართვას, უსაფრთხო გარემოს შექმნასა და კორპორატიული პასუხისმგებლობის გაზრდას.
- ❖ ჩამოყალიბდება ევროპული სტანდარტების ადგილობრივი თვითმმართველობა და დასრულდება არადემოკრატიული, არაეფექტიანი დარგობრივ-ცენტრალიზებული მმართველობის ეფექტიან და დემოკრატიულ ტერიტორიულ მართვად საბოლოო გარდაქმნის პროცესი.
- ❖ გაუმჯობესდება პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმები და, შესაბამისად, საჯარო მოხელეთა შესაძლებლობები;

- ❖ გაუმჯობესდება პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ხარისხი;
- ❖ უზრუნველყოფილი იქნება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის საბოლოოდ ჩამოყალიბება.
- ❖ განხორციელდება საჯარო სამსახურის წარმატებული რეფორმის მხარდამჭერი ღონისძიებები რაციონალური, ეფექტიანი და ეფექტური, კეთილსინდისიერი, დეპოლიტიზებული, მაღალპროფესიული და დამსახურების შესაბამისად კარიერულ წინსვლაზე, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე დამყარებული საჯარო სამსახურის სისტემის საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად.
- ❖ გაუმჯობესდება სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისები;
- ❖ დამტკიცდება და განხორციელდება ადამიანის უფლებათა დაცვის განახლებული ეროვნული სტრატეგია, რომლის უმთავრესი მიზანი ზემოაღნიშნული პრიორიტეტების ყოველდღიურ პრაქტიკაში ასახვა და ინსტიტუციური დემოკრატიის კონსოლიდაცია იქნება; კვლავაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკას, მიღებული და განხორციელებული იქნება ახალი სტრატეგია 2021- 2025 წლებისთვის;
- ❖ პრიორიტეტული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება. გაძლიერდება და, მოსახლეობის ყველა სეგმენტის საჭიროებების გათვალისწინებით, უფრო მრავალფეროვანი გახდება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები;

7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

- ❖ საქართველოს მთავრობა გააგრძელებს დევნილთა საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის ეფექტიან პოლიტიკას.
- ❖ გაგრძელდება ნგრევადი ობიექტების იდენტიფიცირება და მათში მცხოვრებ დევნილთა უსაფრთხო ადგილას განსახლება;
- ❖ გაგრძელდება დევნილებისთვის საარსებო წყაროებზე წვდომის, მცირე სამეწარმეო საქმიანობისა და დევნილთა კოოპერაციის მხარდაჭერა, ხელი შეეწყობა სასოფლო-სამეურნეო და თვითდასაქმებადი სოციალური პროექტების განხორციელებას
- ❖ განსახლების პროგრამების მეშვეობით, მომავალ 4 წელიწადში დამატებით 13 000 დევნილ ოჯახს ექნება ღირსეული საცხოვრებელი. 2024 წლამდე, დაგეგმილია დამატებით 1200 ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მათი ახალ და უსაფრთხო გარემოში გადაყვანის გზით.
- ❖ ხელისუფლება გააგრძელებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თანმიმდევრული, მტკიცე პოლიტიკის გატარებას.
- ❖ გაგრძელდება ოკუპაციის წნეხის ქვეშ მცხოვრებ მოსახლეობაზე ზრუნვა, ხელი შეეწყობა დაშორიშორებული საზოგადოების ყველა რგოლს შორის დიალოგს ახალი შესაძლებლობების შექმნის გზით.

8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

- ❖ გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისთვის; უზრუნველყოფილი იქნება კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნება;
- ❖ შეიქმნება კულტურის მართვის მოქნილი, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული მოდელი და დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმი;
- ❖ შემუშავდება სახელოვნებო განათლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები სახელოვნებო განათლების, მათ შორის, ნაკლებად მოთხოვნად სპეციალობებზე, ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად; შემუშავდება დაფინანსების მექანიზმები;
- ❖ განხორციელდება კულტურის პოპულარიზაციის ღონისძიებები მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის;
- ❖ განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები კულტურის და მეგლთა დაცვის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად;
- ❖ მოხდება ახალი ტექნოლოგიების განვითარება და ეფექტური გამოყენება, კულტურის ციფრულ სივრცეში ინტეგრაცია.
- ❖ გაგრძელდება სახელმწიფოს მხრიდან მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის დაფინანსება;
- ❖ შეიქმნება სპორტული დავების განხილვების ქმედითი სისტემა. დაინერგება სპორტსმენთა უფლებების დაცვისა და მათი გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართვის მოდელი;
- ❖ დაიხვეწება ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის მექანიზმები და პლატფორმები.
- ❖ გაფართოვდება საერთაშორისო თანამშრომლობა ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით;
- ❖ გაგრძელდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და შშმ ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერებასა და ჩართულობაზე ორიენტირებული პროგრამები.

9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

- ❖ საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად რჩება ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა.
- ❖ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის არსებული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენებასთან ერთად, ყველა ძალისხმევა მიმართული იქნება, ასევე, ახალი შესაძლებლობების შექმნისაკენ, რათა ევროკავშირში გაწევრების გზა უფრო ხელშესახები და პრაქტიკული შედეგების მომტანი გახდეს ქვეყნისა და მისი მოსახლეობისათვის.

- ❖ აქტიური ძალისხმევა იქნება მიმართული რეგიონში დაბალანსებული და ურთიერთსასარგებლო პარტნიორულ თანამშრომლობაზე დამყარებული პოლიტიკის გასატარებლად.
- ❖ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა. კერძოდ: საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთათვის, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოებით, შესაბამისი სერვისების მიწოდების არეალის გაზრდა; საქართველოს მოქალაქეთათვის საზღვარგარეთ უვიზო მიმოსვლის არეალის გაფართოება; საგარეო საქმეთა სამინისტროს, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შემდგომი გაძლიერება შესაძლო კრიზისულ სიტუაციებში სამოქმედოდ.

10. სოფლის მეურნეობა

- ❖ სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროგრამების განხორციელება ორიენტირებული იქნება ადგილობრივი პროდუქციის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ზრდაზე;
- ❖ ფინანსურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ასევე, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამმუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების ხელშეწყობისთვის გაგრძელდება ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა;
- ❖ გაგრძელდება და მეტად მასშტაბური გახდება: ერთწლოვანი და მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველადი წარმოების ხელშეწყობა; გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამა; სათბურების თანადაფინანსების ღონისძიებები; მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა; მეცხოველეობის განვითარების მიმართულებით არსებული პროგრამები; საზღვაო და შიდა წყლებში აკვაკულტურის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;
- ❖ უზრუნველყოფილი იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხი და ხელმისაწვდომობა;
- ❖ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის, რისკების შემცირების მიზნით, გაგრძელდება და დაიხვეწება აგროდაზღვევის პროგრამა;
- ❖ გაგრძელდება ახალი ბაზრების ათვისებისთვის აქტიური მუშაობა და არსებულ ბაზრებზე პოზიციების გაუმჯობესება;
- ❖ სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირებისთვის შემუშავდება სპეციალური პროგრამები;
- ❖ განხორციელდება ქალ ფერმერთა და მეწარმეთა განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები;
- ❖ 2020-2024 წლებში გაგრძელდება ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

- ❖ გაგრძელება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროების DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება;
- ❖ ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის აღკვეთის მიზნით, გააქტიურდება ლაბორატორიული კვლევები;
- ❖ მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელებისა და ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

11. სასამართლო სისტემა


- ❖ გაგრძელება და გაღრმავდება სასამართლოს სისტემური გაძლიერება, განმტკიცდება მისი დამოუკიდებლობა და ყველაფერი გაკეთდება მოსახლეობაში სასამართლოს მაღალი ნდობის მოსაპოვებლად.
- ❖ ოჯახში ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე უფრო ეფექტიანი და საერთაშორისო სტანდარტების სრულად შესაბამისი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;
- ❖ სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა; პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაცია;
- ❖ პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა;
- ❖ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა;
- ❖ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორთა გადამზადება, არასრულწლოვანებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა და არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;
- ❖ პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფა.
- ❖ გაგრძელება სისხლის სამართლის კოდექსის შემდგომი დახვეწა, რაც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს და დამნაშავეობასთან ბრძოლას უფრო ეფექტიანს გახდის ისე, რომ არ მოხდეს ადამიანის უფლებათა ხელყოფა.
- ❖ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდგომი განვითარება გაგრძელება „სისტემური განახლების“ კონცეფციის შესაბამისად, რაც მოიცავს როგორც სტრუქტურულ რეფორმებს, ისე შინაარსობრივ ცვლილებებსა და საკანონმდებლო ინიციატივებს.

12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

- ❖ გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;

- ❖ კლიმატის მწვანე ფონდის პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება. 2020-2024 წლებში განხორციელდება მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების 150-მდე ერთეული ავტომატური სადგურის/საგუმავოს შექმნა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამონტაჟება/გამართვა;
- ❖ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;
- ❖ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გაგრძელდება მერქნულ რესურსზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება; განვითარდება ტყის მრავალმიზნობრივი სარგებლობა, რაც შექმნის დამატებით ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს;
- ❖ 2020-2024 წლებში, დაცული ტერიტორიების გაფართოებისა და დაცვის მიმართულებით დაგეგმილია ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება და ზოგიერთი არსებული დაცული ტერიტორიის გაფართოება (სულ, დაახლოებით, 185 000 ჰა), შეიქმნება ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა;
- ❖ გაგრძელდება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები. განხორციელდება სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემაში გარემოსდაცვითი განათლების საკითხების ინტეგრირება;
- ❖ ტყის რესურსის ონლაინ და ადგილობრივი კონტროლის გაზრდის მიზნით, დაინერგება ფოტოხაფანგების, უპილოტო საფრენი აპარატების, სამეთვალყურეო და სხვა მოწყობილობების გამოყენებით ეფექტური კონტროლის სისტემა;
- ❖ ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად დაინერგება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა და ხელი შეეწყობა ნარჩენების ხელახალ გადამუშავებას;
- ❖ გაუმჯობესდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სისტემა და მოეწყობა რადიაციული ნარჩენების მართვის ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

რამდენია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი?



ახალი პოლიტიკის მიმართულებები

საპენსიო პოლიტიკის ახალი მიმართულება - პენსიის ინდექსაცია

საპენსიო ასაკის მოსახლეობის სოციალური გარანტიების ადეკვატური დაფინანსების და ამავდროულად ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პირობებით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის შესაბამისად სახელმწიფო პენსიის ოდენობის დაანგარიშება, კერძოდ, ასაკით პენსიის ზრდა ყოველწლიურად 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისათვის - ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლით, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისათვის - ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლისა და ბოლო 6 კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის 80%-ის ჯამით, მაგრამ არანაკლებ 25 ლარის ოდენობით.

საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს სახელმწიფო პენსია განისაზღვრება:

- ✓ 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისათვის - არანაკლებ 300 ლარის ოდენობით;
- ✓ 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისათვის - არანაკლებ 350 ლარის ოდენობით.

ზოგადი განათლების რეფორმის ახალი მიმართულებები:

- ✓ *მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა და შრომის ანაზღაურების ზრდა*

განათლების რეფორმის ფარგლებში 2021 წელს დაგეგმილია მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის მორიგი ეტაპის განხორციელება. განათლების მიმდინარე რეფორმა გულისხმობს პრაქტიკოს მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მათ მოტივირებას კარიერულ სქემაში სტატუსის ამაღლების მიმართულებით და სისტემაში პრაქტიკოსი მასწავლებლების ეტაპობრივ ჩანაცვლებას უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლებით.

2021 წელს, რეფორმის ახალ ეტაპზე იგეგმება უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლების (39 ათასზე მეტი მასწავლებელი) დანამატების გაზრდა 100 ლარით. შედეგად 2021 წლის იანვრიდან უფროსი მასწავლებლის დანამატი შეადგენს 570 ლარს; წამყვანი მასწავლებლის დანამატი - 950 ლარს, ხოლო მენტორი მასწავლებლის სტატუსის დანამატი - 1250 ლარს

- ✓ *„ახალი სკოლის“ მოდელის დანერგვა*

საშუალოვადიან პერიოდში „ახალი სკოლის“ მოდელის დანერგვა იგეგმება ქვეყნის მასშტაბით ყველა საჯარო სკოლაში, რაც გულისხმობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის ხელშეწყობას, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლებისა და მასწავლებლების მხარდამჭერი ჯგუფების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომლის შემადგენლობაში შედიან: ყველა საგნის ექსპერტი, დაწყებითი განათლების ექსპერტი, ტექნოლოგიების ექსპერტი,

ინკლუზიური განათლების ექსპერტი, ლიდერობის ექსპერტი და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორები.

რეფორმის ფარგლებში განხორციელდება ინტენსიური, ქოუჩინგის პრინციპებზე დაფუძნებული შემდეგი აქტივობები:

- სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმების (კურიკულუმების) შექმნა და განვითარება;
- მხარდაჭერასა და დახმარებაზე ორიენტირებული შიდა და გარე შეფასების სისტემის ჩამოყალიბება;
- კომუნიკაციისა და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებისთვის სკოლებში ტექნოლოგიების გამოყენების დანერგვა, მათ შორის ციფრული პროგრამების შექმნა „ვსწავლობთ თამაშით“, „გაციფრულე სასწავლო პროცესი“, ქართული LLMS;

სკოლებში თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება - სკოლები ეცნობიან ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ყოველწლიურად იღებენ მოსწავლის პროგრესის შეფასებისა და სასკოლო კულტურის კვლევის განახლებულ შედეგებს, რის საფუძველზე სწავლობენ საკუთარ საქმიანობებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მისაღწევად.

დაგეგმილი ღონისძიებები

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული 2020 წელს COVID-19 პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელი, მიმდინარე წლის მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირების ტენდენციები და საშუალოვადიან პერიოდთან მიმართებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზები როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ეკონომიკის და რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ტენდენციების შესახებ.

მომდევნო 4 წლიან პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს და რა თქმა უნდა ის ვერ იქნება პანდემიამდე არსებული ეკონომიკის იდენტური. ბოლო წლებში ბიუჯეტთან ერთად მუდმივად მზადდებოდა ფისკალური რისკების დოკუმენტი, სადაც გაანალიზებული იყო ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე მოქმედი რეგიონული, გეოპოლიტიკური და სხვადასხვა რისკები, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე მომდევნო პერიოდში გაზრდილია როგორც ამ რისკების მატერიალიზაციის ალბათობა, ასევე ტრადიციულად არსებულ რისკებს ემატება, პანდემიის გამწვავების რისკი, გლობალური ტურიზმის სენტიმენტების შემცირების რისკი, გლობალური ვალის ზრდიდან გამომდინარე და სხვა რისკები, რომელთა მატერიალიზაციამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საქართველოს ეკონომიკურ პარამეტრებზე.

2021 წლის ბიუჯეტი პირველადი ვარიანტი და 2021-2024 წლების საშუალოვადიანი პროგნოზების საბაზისო სცენარი დაფუძნებული იყოს შედარებით კონსერვატიულ

პროგნოზებზე და აღნიშნული პარამეტრები გადაიხედოს ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადებისთვის. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი საქართველოს პარლამენტს უნდა წარედგინოს 30 ნოემბრამდე, შესაბამისად ამ პერიოდისთვის უფრო სრულყოფილი ინფორმაცია იქნება როგორც ეფექტური ვაქცინის გამოშვების პერიოდის, ასევე მსოფლიო ეკონომიკაში არსებული პროგნოზების შესახებ. შესაბამისად შესაძლებელი იქნება უფრო სწორად განისაზღვროს როგორც ეკონომიკური პარამეტრები, ასევე ვირუსის საწინააღმდეგოდ ჯანდაცვის სისტემისთვის საჭირო რესურსები, მოსახლეობის, ცალკეული სექტორების და მთლიანი ეკონომიკის მხარდაჭერისთვის საჭირო პაკეტების შინაარსიც და მათი მოცულობაც.

2021 წელს აქტიურად გაგრძელდება წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი გადასახადების (ძირითადად დღგ) დაბრუნების პროცესი და მოსალოდნელია რომ 2021 წელს დაბრუნდება 1 მილიარდ ლარამდე. 2020 წლის მიმდინარე პერიოდში უკვე დაბრუნებულია 600 მილიონ ლარზე მეტი და მოსალოდნელია, რომ წლის ბოლომდე დაბრუნდება 1 მილიარდ ლარზე მეტი.

2019-2020 წლებში დაწყებული ისეთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების აქტიურ ფაზაში შესვლიდან გამომდინარე, როგორცაა ალსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალი და ჩრდილოეთ-სამხრეთი მიმართულება, 2021 წელს კაპიტალური ხარჯების წილი მშპ-სთან მიმართებაში 8.3 %-ს შეადგენს, თუმცა დეფიციტის შემცირების პარალელურად მომდევნო წლებშიც კაპიტალური ხარჯების 8%-ის ფარგლებში შენარჩუნება ერთგვარ გამოწვევად რჩება.

ფისკალური პარამეტრების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრებში დაბრუნების გეგმა

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით ემოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული ფისკალური პარამეტრების ზღვრების მიღმა.

იმის გათვალისწინებით, რომ შემცირდა მშპ-ის მაჩვენებლები საპროგნოზო პერიოდში, ხოლო პანდემიაზე რეაგირების ღონისძიებებიდან გამომდინარე გაიზარდა მიმდინარე ხარჯები, 2020 წლის წარმოდგენილი პროგნოზით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი გაზრდილია მშპ-ის 8.3%-მდე და 2023 წლისათვის ჩამოდის „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ 3%-იან ნიშნულზე.

მშპ-ის ბაზის შემცირებას და შემოსავლების დანაკლისს (ჯამში 2.8 პროცენტული პუნქტი) გავლენა ექნება საშუალოვადიან პროგნოზებზეც. დამატებითი ხარჯვის საჭიროების დიდ ნაწილს (მკურნალობა, კარანტინი, სოციალური დახმარებები 3-6 თვიანი და ერთჯერადი

პაკეტები) და საგადასახადო შეღავათებს (ჯამურად 3 პროცენტული პუნქტი) კი ერთჯერადი ეფექტი ექნება და საშუალოვადიან პერიოდზე ნაკლებ გავლენას მოახდენს.

ეკონომიკური ზრდის აღდგენა 2021 წლიდან დაიწყო და მშპ-ს რეალური ზრდა 2021 წელს და საშუალოვადიან პერიოდში 5%-ს, მიაღწევს. ეკონომიკური ზრდის აღდგენა გამოიწვევს არადეფიციტური შემოსავლების ზრდას მშპ-თან მიმართებაში საშუალოდ 0.5 პროცენტული პუნქტით. სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის მიუხედავად, 2021 წლიდან ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების მშპ-ის 23%-ის ფარგლებში, ხოლო სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის 25%-ის ფარგლებში შენარჩუნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში არაფინანსური აქტივების ზრდის ნომინალურ გამოხატულებაში შენარჩუნება საშუალებას იძლევა 2023 წლისთვის დეფიციტი 2020 წელს 8.3%-დან შემცირდეს 3%-მდე და დაუბრუნდეს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებულ დეფიციტის ზღვრულ ნიშნულს. თუმცა დეფიციტის შემცირების პარალელურად მომდევნო წლებშიც კაპიტალური ხარჯების 8%-ის ფარგლებში შენარჩუნება ერთგვარ გამოწვევად რჩება.

მიუხედავად მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მნიშვნელოვანი ზრდისა, პროგნოზებიდან ნათლად ჩანს, რომ 2024 წლისათვის იგი ჩამოვა 54.3%-მდე. აღსანიშნავია რომ ვალის აღნიშნული მაჩვენებელი ნაკლებია ორგანული კანონით განსაზღვრულ ლიმიტზე (60%).

ბიუჯეტის გამჭვირვალობა

საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტი და შესრულების ანგარიშები) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge), თუმცა საჭიროა სხვადასხვა მექანიზმების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს დიდი მოცულობის სპეციფიკური ინფორმაციის უფრო მარტივად აღქმას. ერთი-ერთი ასეთი მექანიზმია სწორედ მოქალაქის გზამკვლევი.



გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თითოეულ მოქალაქეს შესაძლებლობა ჰქონდეს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მიიღოს მონაწილეობა, ფინანსური სახსრები გადაანაწილოს საკუთარი შეხედულებისამებრ დაგეგმილი პროგრამების მიხედვით, დააფიქსირონ მოსაზრებები და მიიღონ უკუკავშირი მის მიერ წარდგენილი წინადადებების ბიუჯეტში გათვალისწინების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, 2018 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით და

USAID-ის მხარდაჭერით შემუშავდა კონცეფცია, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ელექტრონული პორტალის/მოდულის - „ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის სისტემა“ (eBTPS – Budget Transparency and Participation System) შემუშავების მიზნით. აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ შემუშავდა ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის ელექტრონული სისტემის (eBTPS) ტექნიკური დავალება, რომლის საფუძველზეც აღნიშნული სისტემა გაეშვა 2020 წელს სატესტო რეჟიმში.

ტექნიკური დავალების შესაბამისად შემუშავდა ახალი ელექტრონული სისტემა (eBTPS) და შეიქმნა შესაბამისი ვებ-გვერდი <https://ebtps.mof.ge/>, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ დაგეგმონ ბიუჯეტი თავისი შეხედულებისამებრ და დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები.

აქტიურად გრძელდება მუშაობა პორტალის რეპორტირების ნაწილზე და უახლოეს მომავალში იგეგმება პორტალის სრულფასოვანი ვერსიის გაშვება.

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები

2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია. 2020 წლის აპრილში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) განახლებულ „მსოფლიო ეკონომიკურ მიმოხილვაში“ 2020 წლის მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განსაზღვრა -3.0 პროცენტით, თუმცა იქვე იყო ნახსენები, რომ მსოფლიო ეკონომიკაში არსებული გაურკვევლობიდან გამომდინარე წლის განმავლობაში კიდევ რამდენჯერმე მოხდებოდა პროგნოზების გადახედვა.

მომდევნო წლების მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირების ნაწილში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე წლის ოქტომბერში დაგეგმილ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიურ შეხვედრებში მონაწილეობას, რომლის შემდგომაც ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტიტუტი გამოაქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკის პროგნოზებს. ასევე, ამავე პერიოდში დაგეგმილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტი საქართველოში და მათთან კონსულტაციების შემდეგ შესაძლებელი იქნება 2021-2024 წლების მაკროეკონომიკური პროგნოზების საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბება.

ამ ეტაპისთვის არსებული პროგნოზების მიხედვით, 2021 წლისათვის მოსალოდნელია მშპ-ის რეალური ზრდა 5.0%-ის ფარგლებში, რაც მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება.

მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 2020 წელს მოსალოდნელია 5%-ის ფარგლებში, 2021 წელს პროგნოზირებულია 4%-ის ფარგლებში, ხოლო შემდგომ წლებში 3%-ის ფარგლებში. რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს 2020 წლისათვის მოსალოდნელია 3.5%-ის ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში პროგნოზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის ფარგლებში და შეადგენს 3,0%-ს.


მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე 2020 წლის ნომინალური მშპ 49.9 მლრდ ლარით განისაზღვრა, 2021 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 54.5 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2024 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 69 მლრდ ლარამდე.

2020 წელს მიმდინარე პანდემიის ფონზე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით დეფიციტი 2.5%-დან 8.5%-მდე გაიზარდა. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფიციტი (რომელიც ეყრდნობა GFSM 2014 კლასიფიკაციას) 2021 წელს ნაერთი ბიუჯეტისათვის შეადგენს მშპ-თან მიმართებაში 4.9%-ს, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარგლებში ფისკალური ჩარჩოს ინდიკატორად გამოიყენება მოდიფიცირებული დეფიციტი, რომელიც GFSM 2014 კლასიფიკაციისგან განსხვავებით ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსაც განიხილავს, როგორც დეფიციტის ფორმირების წყაროს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, 2021 წლის დეფიციტი განისაზღვრება მშპ-თან მიმართებაში 5.1%-ის ფარგლებში. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო განსაზღვრულია 2 844.3 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 5,2% (კანონით განსაზღვრული ზღვარი მშპ-ის 3% შეადგენს). აღნიშნული პარამეტრი ნაერთ ბიუჯეტთან ერთად ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან განხორციელებული ოპერაციების შედეგებს

რაც შეეხება სახელმწიფო ვალის ზღვრულ მოცულობას, 2021 წლის ბოლოსათვის იგი განისაზღვრება 32 005.6 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის, სახელმწიფო საგარეო ვალი – 25 078.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალი – 6 926.9 მლნ ლარის ოდენობით.

2019-2020 წლებში დაწყებული ისეთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების აქტიურ ფაზაში შესვლიდან გამომდინარე, როგორცაა აღოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალი და ჩრდილოეთ-სამხრეთი მიმართულება, 2021 წელს კაპიტალური ხარჯების წილი მშპ-სთან მიმართებაში 8.3 %-ს შეადგენს, თუმცა დეფიციტის შემცირების პარალელურად მომდევნო წლებშიც კაპიტალური ხარჯების 8%-ის ფარგლებში შენარჩუნება ერთგვარ გამოწვევად რჩება.

დასახელება	2017 ფაქტი	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 მოსალ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.	2023 პროგნ.	2024 პროგნ.
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	4.8%	4.8%	5.1%	-4.9%	5.0%	4.9%	4.8%	5.4%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	40,761.7	44,599.3	50,002.2	49,931.4	54,525.1	58,912.7	63,592.7	69,037.5
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4,358.5	4,722.0	4,763.5	4,076.0	4,451.0	4,809.1	5,191.2	5,635.6
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, საშუალო პერიოდში (საშუალო წლიური ინფლაცია)	6.0%	2.6%	4.9	5.1	3.2	3.0	3.0	3.0
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლოს (ინფლაცია წლის ბოლოსთვის)	6.7%	1.5%	7.0%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
მიმდინარე ანგარიში (%-ულად მშპ-თან)	-8.0%	-6.8%	-5.1	-9.2	-5.2	-5.3	-5.5	-5.5
მშპ-ს დეფლატორი	8.5%	4.4%	6.6%	5.0%	4.0%	3.0%	3.0%	3.0%
მთავრობის ვალი %-ულად მშპ-სთან	39.4%	38.9%	41.2%	57.9%	55.9%	55.9%	55.4%	54.3%




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 14,759.0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 2020 წლის მაჩვენებელზე 3,661.3 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 27.1%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა

მლნ ლარი




2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შემოსულობების 76.5%-ს წარმოადგენს შემოსავლები, რომელიც შეადგენს 11,284.9 მლნ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 20.7%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა

მლნ. ლარი


დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	გადახრა (2021-2020)
შემოსავლები	10,675.0	10,212.7	11 284,9	1 072,2
გადასახადები	9,665.6	8,979.4	10 450,0	1 470,6
გრანტები	489.6	558.3	284,9	-273,4
სხვა შემოსავლები	519.8	675.0	550,0	-125,0



გადასახადები



გრანტები



სხვა შემოსავლები

გადასახადები

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 10,450.0 მლნ ლარს, მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3,599.7 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 6.6 პროცენტს შეადგენს;
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 935.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 1.7 პროცენტია;
- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,347.3 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 8.0 პროცენტს შეადგენს;
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,532.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 2.8 პროცენტს შეადგენს;
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 78.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.1 პროცენტს შეადგენს;
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა -42.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.1 პროცენტს შეადგენს.

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი 2020 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 1,470.6 მლნ ლარით აღემატება. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 92.6%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 19.2%-ს შეადგენს.

გრანტები


2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 284.9 მლნ ლარს შეადგენს, მათ შორის:

- საბიუჯეტო გრანტები 185.0 მლნ ლარი;
- საინვესტიციო გრანტები 49.9 მლნ ლარი;
- ხოლო ბიუჯეტის კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად სსიპ-ების მიერ მიღებული შემოსავლებიდან ბიუჯეტში გადმოსარიცხი გრანტები 50.0 მლნ ლარის ოდენობით;

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს ბიუჯეტის შემოსავლების 2.5%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.5%-ს.

სხვა შემოსავლები

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2020 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 125.0 მლნ ლარით ჩამორჩება და შეადგენს 550.0 მლნ ლარს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 4.9%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 1.0%-ს შეადგენს.



არაფინანსური აქტივების კლება

2021 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 150.0 მლნ ლარს, რაც 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელს 60.0 მლნ ლარით აღემატება.

ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 150.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 70.0 მლნ ლარით აღემატება 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელს და წარმოადგენს წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებას.

ვალდებულების ზრდა

2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრების გეგმა განსაზღვრულია 3,174.2 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ა) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულებების ზრდა – 1 000 000.0 ათასი ლარის ოდენობით;
- ბ) წყლის სექტორის განვითარების პროგრამის (ირიგაცია) ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მისაღები სახსრები - 97 400.0 ათასი ლარის ოდენობით;
- გ) საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის (IV) ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები – 95 500.0 თასი ლარის ოდენობით;
- დ) საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი - PBL IV) ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მისაღები სახსრები – 114 600.0 ათასი ლარის ოდენობით;
- ე) სექტორული განვითარების პროგრამა, თანამედროვე უნარები უკეთესი სამუშაო ადგილებისთვის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მისაღები სახსრები - 130 000.0 ათასი ლარის ოდენობით;

ვ) წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მისაღები სახსრები - 76 000.00 ათასი ლარის ოდენობით;

ზ) მაკროფინანსური დახმარების (MFA) IV პროგრამის ფარგლებში ევროკავშირიდან (EU) მისაღები სახსრები - 286 500.0 ათასი ლარის ოდენობით;

თ) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისთვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები - 1 374 160.0 ათასი ლარის ოდენობით.

სახელმწიფო ვალების დაფარვისთვის 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2,640.0 მლნ ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით გადასახდელების მთლიანი მოცულობა დაგეგმილია 17,071.4 მლნ ლარის ოდენობით, რაც 1,147.7 მლნ ლარით მეტია 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 31.3%-ს შეადგენს.

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების უმეტესობის დაფინანსება 2020 წელს ბიუჯეტის შემცირებამდე არსებულ დონეზე, ასევე დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორცაა სახელმწიფო პენსიის ინდექსაცია და მასწავლებელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. ამ ეტაპზე 2021 წლის ბიუჯეტში ასახული არ არის ახალი კორონავირუსი (COVID-19) გამოწვეულ პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯები და 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში ასახული იქნება სათანადო ხარჯები დაავადების გავრცელების და მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის საფუძველზე.


მლნ ლარი

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
გადასახდელები	13,469.7	15,923.7	17,071.4
ხარჯები	9,975.5	12,556.4	11,562.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,256.1	2,007.8	2,515.8
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	278.9	326.8	346.4
ვალდებულებების კლება	959.2	1,032.7	2,646.5

გადასახდელების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი)



ხარჯები

2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი კანონის პროექტში ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 11,562.7 მლნ ლარს. არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლების გარდა, კაპიტალური ხარჯებისთვის 446.2 მლნ ლარი გათვალისწინებულია სხვა ხარჯების მუხლში, ხოლო 435.5 მლნ ლარი გრანტების მუხლში.

ხარჯების სტრუქტურა
(მლნ ლარი)

სხვა ხარჯები
1,750.7

სოციალური უზრუნველყოფა
4,804.8

გრანტები
634.0

პროცენტი
883.0

სუბსიდიები
523.9

საქონელი და მომსახურება
1,359.3

შრომის ანაზღაურება
1,607.0

არაფინანსური აქტივების ზრდა

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვრა 2,515.8 მლნ ლარის ოდენობით, რაც 508.0 მლნ ლარით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. არაფინანსური აქტივების ზრდა მშპ-ს 4.6%-ია.

ფინანსური აქტივების ზრდა


2021 წელს ფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვრა 346.4 მლნ ლარით. ფინანსური აქტივების ზრდა მშპ-ს 0.6%-ია.

ვალდებულებების კლება

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ვალდებულებების კლება შეადგენს 2,646.5 მლნ ლარს, საიდანაც 2,603.7 მლნ ლარი მიმართული იქნება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 42.8 მლნ ლარი - საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების და დავალიანების დაფარვაზე. ვალდებულებების კლება მშპ-ს 4.9%-ია.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მთლიანი მოცულობა შეადგენს 4,390.7 მლნ ლარს, მათ შორის:



2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათასი ლარი


დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	გადახრა
შემოსულობები	13,252,192.5	18,420,269.5	14,759,075.0	-3,661,194.5
შემოსავლები	10,675,037.7	10,212,699.0	11,284,915.0	1,072,216.0
გადასახადები	9,665,567.6	8,979,350.0	10,450,000.0	1,470,650.0
საშემოსავლო გადასახადი	3,200,254.7	2,990,000.0	3,599,730.0	609,730.0
მოგების გადასახადი	866,288.9	840,000.0	935,000.0	95,000.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	4,243,606.7	3,754,350.0	4,347,270.0	592,920.0
აქციზი	1,506,675.8	1,325,000.0	1,532,000.0	207,000.0
იმპორტის გადასახადი	79,073.8	70,000.0	78,000.0	8,000.0
სხვა გადასახადები	-230,332.3	0.0	-42,000.0	-42,000.0
გრანტები	489,635.3	558,349.0	284,915.0	-273,434.0
სხვა შემოსავლები	519,834.8	675,000.0	550,000.0	-125,000.0
არაფინანსური აქტივების კლება	93,231.0	90,000.0	150,000.0	60,000.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	148,529.0	80,000.0	150,000.0	70,000.0
სესხები	148,528.7	80,000.0	150,000.0	70,000.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.3	0.0	0.0	0.0
